საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციონ. პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
ტირაჟი 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღია დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი ერთი მანეთი

კვირა, ნოემბრის 13
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწუხრებულნი: მეუღლე დავით გიორგის ძე ჩიქოვანი და მშობლები ბესარიონ ქრისტიფორეს ძე და მარიამ ანდრიას ასული დვალიძეები შვილებით და დეიდა ვარო ანდრიას ასული და მისი მეუღლე დავით სვიმონის ძე არჯევანიძეები, აცხადებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთა სალუსრადღებოდ რომ დანიშნულია ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი

ანეტო ჩიქოვანისა

კვირას, ნოემბრის 13-ს, დილის 11 საათზე განსვენებულის საფლავზე ნაძალადევის ეკლესიის გალავანში. 65

ანნა და გერონტი კილოხანია მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს საყვარელ ამხანაგ

დიმიტრი (მიტო) ქიტუაშვილის

უდროოდ ტრაგიკულათ დაღუბვას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვა მოხდება კვირას, ნოემბრის 13-ს, წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დაბნეულნი და ძალნი: ანიბალაგები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ დაღუპვას

მიტო ქიტუაშვილის

პანიშვიდი ყოველ დღე საღ. 5 საათზე მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვა კვირას, ნოემბრის 13-ს წმ. ნინოს სასაფლაოზე. გვამს გამოასვენებენ დილ. 10 საათზე. 67

ირაკლი გიორგის ძე ამირეჯიბი ოჯახობით მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ტრაგიკულად გარდაცვალებას

დიმიტრი ქიტუაშვილისას

რომელიც შეიქმნა მსხვერპლი ტფილისის ქუჩებში ავტომობილების გაველურებულ თარეშისა. 68

ერილობის შედეგები

4

პროფესიონალურ კავშირების მნიშვნელობა მუშათა მოძრაობის ისტორიაში ყოველთვის დიდი იყო. პროფკავშირები მუშათა კლასის შემაკავშირებელი ორგანიზაციაა. მისი დანიშნულება არ შეიძლება მარტო ყვრილმანი მოვლენებით აღმოწურულიყო და მუშათა მხოლოდ ყოველდღიურ მოთხოვნილებით შემოესაზღვართ. რევოლიუციონური პროფკავშირების როლი კაპიტალისტურს ხანაში უფრო ფართო და მრავალფეროვანია. მის გარშემო იკრიბება ფართო მშრომელი მასა, ბურჟუაზიულ ერთიერთობის ის ელემენტები, რომელნიც კაპიტალის ექსპლოატაციის დაუსრულებელ მონობის ქვეშ იყოფებიან. პროფკავშირები რაზმავს ათ, ნვრთნის და შეაქვს მათში კლასიური შეგნება. ყოველდღიურ ლუკმისა და პირობების გაუსჯობესობის ბრძოლასთან ერთად, პროფკავშირები ამზადებს მშრომელ მასას საბოლოო მიზნებისათვის, კაპიტალისტური ბატონობის ბოსასპობად და სოციალისტური ურთიერთობის გასამტკიცებლად. ყოველდღიური, მიმდინარე და დროული კითხვები მუშათა ცხოვრებისა განუწყვეტელის რგოლებით არის გადაბმული პროლეტარიატის მთავარ მიზნებთან. ასეთი იყო პროფკავშირების მთავარი დანიშნულება კაპიტალისტურს ეპოქაში, ბურჟუაზიისა და იმპერიალიზმის ბატონობის ხანაში. რევოლიუციონური ენერგიის შეტანა, სოციალისტურად გათვითცნობიერება მუშათა კლასისა და ძალა დარაზმვა კაპიტალიზმის წინააღმდეგ,—ეს შედგენდა პროფკავშირების მთავარ დანიშნულებას, ეს არის მთავარი შინაარსი პროფესიონალური მოძრაობისა. პროფკავშირები სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან ერთად შეუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებენ ექსპროპრიატორთა წინააღმდეგ.

პროფესიონალური კავშირების ასეთი დანიშნულება მოითხოვს სოციალისტურს პარტიებისაგან გარკვეულსა და ნათელ პოლიტიკის დამოკიდებულებას ამთანაში. სოციალისტური და რევოლიუციონ პარტიები არიან მუშათა კლასის ავანგარდი, მისი შეგნებული და გაწვრთნილი ხაწილი, ეს რჩეული ჯგუფია, რომელსაც ნათლად შეუგნია მბრომელთა კლასის დანიშნულება, მისი როლი და მიზნები; რომელიც გარკვეულს პოლიტიკას აწარმოებს ამ ეროვნული მასის კაპიტალის ბატონობისაგან გასთავისუფლებისათვის. პროფესიონალური კავშირები მუშათა კლასის ორგანიზაციაა, [illegible] პროლეტარიატის ყველა [illegible] ნაწილი: შეგნებული და შეუგნებელი. კვალიფიციური და შავი მუშა, კომუნისტი და არაკომუნისტი, უპარტიო და პარტიის წევრები.

ასეთს პირობებში რევოლიუციონური პარტიის მოვალეობაა უხელმძღვანელოს პროფკავშირებს, შეიტანოს მათში სოციალისტური შეგნება და რევოლიუციონური ენერგია. ბრძოლას პროფკავშირების დაპყრობის შესახებ პოლიტიკურ პარტიებისაგან დიდი ხნის ისტორია აქვს და ეს ბრძოლა სხვა და სხვა მომენტებითა და შინაარსით ხასიათდებოდა. სხვა და სხვა პოლიტიკური პარტია თავისებურ პოლიტიკას ახვევდა თავზე პროფკავშირებს და თავიანთი გეგგემონიის ქვეშ აყენებდა მათ. ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპის მეხუთეკუნტად მოაზროვნე პარტიებმა თავისებური მიზნები დაუსახეს პროფკავშირებს, მხოლოდ ყოველ-დღიურ ყვრიმალ საქმეებით შემოსაზღვრეს მისი დანიშნულება და ამით საესებით დაუკარგეს მათ რევოლიუციონური დირებულება. უფრო მეტი, პროფკავშირები რეფორმისტების გამყიდველ პოლიტიკის წყალობით კაპიტალისტების დამცველ იარაღად შეიქმნა და მეჯგრად აწარმოებენ მუშების ყოველგვარ რევოლიუციონურ გამოსვლების წინააღმდეგ ამსტერდამის ყვითელი პროფკავშირის ინტერნაციონალი ლეგიონებისა, ჟუოებისა, შეიდმანეთისა და რენოდელების წყალობით გაბატონებული იმპერიალისტების თავდაცვითი იარაღი შეიქმნა, და ამ საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციით საუცხოვოდ სარგებლობენ გამარჯვებული კაპიტალისტები რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობათ და გასანადგურებლად ევროპაში. ამ გვარად ძველმა პროფკავშირებმა ოპორტუნისტების წყალობით დაკარგა თავისი ეროვნული ინიშვნელობა, თავისი რევოლიუციონური როლი და კაპიტალისტური რეაქციის დამცველ ძალად გადაიქცა.

ამ გარემოებამ გამოიწვია ახალი საერთაშორისო პროფკავშირის აღორძინება, რომელიც მოსკოვში შეიკრიბა პირველად 1921 წელში. მოსკოვის წითელი პროფინტერნი დაუპირისპირდა ამსტერდამისას როგორც თავისი საბოქმედო პლატფორმით, აგრეთვე მიზნებითა და შინაარსით. მოსკოვის წითელმა პროფინტერნმა თავი მოუყარა მთელი ქვეყნის ყველა მხიშვნელოვან პროფესიონალურ ორგანიზაციებს და მის გაერთეულ შემოკრებილია დაახლოვებით 16 მილიონამდე მბრომელი ელემენტები. დღეს გაცხარებული ბრძოლა არის მოსკოვის წითელ და ამსტერდამის ყვითელ კავშირების შორის, რომელიც თანდათან მწვავდება და სასტიკს ხასიათს ღებულობს, ისე როგორც ბრძოლა კომინტერნსა და მეორე ინტერნაციონალის მომდევრებს შორის. ამ ბრძოლების ვითარება არსებით სახესა და შინაარს მისცემს თანამედროვე მუშათა მოძრაობას.

რა ახასიათებს მოსკოვის წითელ პროფ-ინტერნს, როგორია მისი დამოკიდებულება პროფესიონალურ მოძრაობასთან?

პროფკავშირების საბოლოვაწეო როლი და დანიშნულება იცვლება და ფართოვდება მდგომარეობის ცვალებადობასთან პირობის მიხედვით.

თანამედროვე რევოლიუციონერმა მოძრაობამ მსოფლიო ორ დიდ მოწინააღმდეგე ბანაკათ დაყო. მსოფლიოში არსებულ მებრძოლ ძალთა შორის დემარკაციული ხაზი არის გავლილი: ერთს მხარეზე სდგას გამარჯვებული მშრომელი კლასი რომელმაც შესძლო პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და თავისი სახელმწიფო აპარატის შექმნა საბჭოთა სისტემის ფორმებში, მეორე მხარეზე—გამარჯვებული კაპიტალისტები, თავიანთი ბურჟუაზიული პარლამენტებითა და სახელმწიფოებით. ბრძოლა ამ ორ მსოფლიოს შორის ოთხი წელიწადია რაც სხვა და სხვა ფორმებითა და შინაარსით ვითარდება.

როგორი უნდა იყოს დანიშნულება პროფკავშირებისა ამ სხვა და სხვა გეგარს ქვეყნებში? საერთოდ პოლიტიკის როლს და მოქმედებას არკვევს ობიექტიური პირობები და მდგომარეობა.

პროფესიონალური კავშირების დანიშნულება და როლი ამ ორ სხვა და სხვა სახის სახელმწიფოში სხვა და სხვა გვარი ხასიათის იქნება.

კაპიტალისტურს ევროპაში იქ სადაც ჯერ კიდევ ბატონობს ბურჟუაზია, პროფკავშირის დანიშნულებაა შეიტანოს მშრომელთა წრეებში რევოლიუციონური და სოციალისტური შეგნება, დარაზმოს ისინი ერთ განუყრელ ძალად და იბრძოლოს სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან და პარტიებთან ერთად შეაჩეროს ძალა უფლების გასანადგურებლად და მშრომელი კლასის დიქტატურის დასამყარებლად.

პროფკავშირი ერთდროულად ასრულებს „სოციალისტური სკოლის“ როლსაც, ვინაიდან მას კლასიური შეგნება და თვითცნობიერება ეაქვს პროლეტარიატი ფართო მასაში, და მასთანვე რევოლიუციონური ბრძოლის იარაღსაც წარმოადგენს კაპიტალიზმის ბატონობის წინააღმდეგ.

შეუძლებელია პირწმინდათ ასეთივე დანიშნულება დაუსახოთ პროფკავშირებს საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც ძალა-უფლება მშრომელი კლასის ხელში, სადაც ხდება კაპიტალიზმის ლიკვიდაცია და ნიადაგი ეყრება სოციალისტურს ურთიერთობას. აქ პროფკავშირები სხვაგვარს სახეს ღებულობს. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასასვლელ პერიოდში. საბჭოთა რესპუბლიკების ბატონობის ხანაში პროფესიონალური მოძრაობის მთავარი დანიშნულება შემდეგში უნდა გამოიხატოს: ერთის მხრივ ის კვლავ ასრულებს „სოციალისტურ სკოლის“, ალმბრდელობითი როლს, შეაქვს მასაში არა მარტო კლასური შეგნება და თვითცნობიერება, არამედ კულტურული და სოციალისტური მშენებლობისათვის მოიზადება, მეორეს მხრივ აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა რესპუბლიკების, სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგება-მართვაში და წარმოებაში სახელმწიფო ორგანოებთან ერთად. ის ასე ვსთქვათ რამოდენიმეთ სახელმწიფო ორგანოს ხასიათს ატარებს.

როგორც ვიცით, რუსეთში პროფკავშირები დიდ როლს თამაშობენ ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებისა და აყვავების საქმეში და ყველა სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებში წარმომადგენლობის სახით მონაწილეობას ღებულობს შესაფერისი პროფესიონალური ორგანიზაცია.

რუსეთის კომუნისტთა შორის გასულს წელში დიდი დავა გამოიწვია პროფკავშირების გასახელმწიფოების საკითხმა. ტროცკი და ბუხარინი, ერთის ხმრით, იცავდნენ ამ ორგანიზაციებია დაუყოვნებლივ გასახელმწიფოების საჭიროებას და მათ ხელში ეკონომიური ცხოვრების თავის მოყრას. მეორეს მხრით, ამ შეხედულებას დაუპირისპირდა ლენინი და ზინოვიევი, რომელნიც არსებითად უარყობდნენ პროფკავშირების დაუყოვნებლივ სახელმწიფო აპარატად გადაქცევას და მათ უფრო ადმზრდელობითი როლს მიანიჭებდნენ. გამარჯვება ლენინ-ზინოვიევს დარჩათ და მოსკოვის წითელ პროფ ინტერნის საერთო პოლიტიკას მათი შეხედულება დაეედვა საჩრულად.

პროფკავშირების შესახებ დავამ რუსეთის კომუნისტურს ლიტერატურაში მდიდარი მასალა წარმოშვა. ჩვენმა ყრილობამ საკმაოდ ისარგებლა ამ მასალებით და პროფკავშირის მოძრაობას ჩვენში ის შეხედულება დაეედვა, რომელიც მიზანშეწონილად ასრულებს, როგორც მასების ადმზრდელობით, აგრეთვე სამეურნეო ცხოვრების მომწესრიგებლის როლს. ჩვენის შეხედულებით შეუძლებელია პროფკავშირების დაუყოვნებლივ სახელმწიფო ორგანოდ გადაქცევა. ეს უნდა მოხდეს თანდათანობით მასის გაწვრთნით და სოციალისტური მომზადებით.

ჩვენი ყრილობა აგრეთვე მხარს უჭერს მოსკოვის პროფინტერნს და საჭიროდ მიიჩნია საქართველოს პროფკავშირებმაც ყოველგვარი კავშირი გასწყვიტოს ამ ტარდამის ყვითელ კავშირებთან.

ხიმ. ხუნდაძე.

საბჭოთა აღმშენებლობის გამოფენა

2.

გამოფენის ის ნაწილი, სადაც მოთავსებულია განათლების კომისარიატი, დარბაზის შუა ნაწილი უკავია მისვე განყოფილებებს:

პოლიტიკურ განათლების მთავარ მართველობას, ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებას, საორგანიზაციო ნაწილს და აკადემიურ ცენტრსა. პოლიტიკურ განათლების მთავარ სართველობის პლაკატები და დევიზები კარგია, ძაგრამ ამ დევიზების თარგმანები ყოველად მიუღებელია, ვინაიდან არ ეპატიება ასეთი რამ სულითად ყველა დაწესებულებებს და მით უმეტეს პოლიტიკურ განათლების მთავარ მართველობას. ეს ხმირი მოვლენაა, რომ ასეთ დღესასწაულების დროს პლაკატები, სადაც ქართული წარწერაა, საშინლად დამახინჯებულია ხოლმე ქართული ენა. მით უმეტეს ეს დაუშვებელია, როდესაც პოლიტიკურ მთავარ მართველობაში და საერთოდ განათლების კომისარიატში ძრავალი განყოფილებებია, სადაც მუშაობენ ჩვენ ეროს საუკეთესო მცოდნენი, რომელთაც ასეთ ხემთხვევებში როგორც სჩანს სრულიად გვერდი უხვევენ. ამასთანავე ალანიშნავი ოქტ. ენის კიჭარბე. ასეთი ანორმალური მოვლენა ერთგვარი სანია დღეს საქართველოში, მიუხედავად მთავრობის მთავარ დადგენილებისა; მაგრამ ხოგი კომისარიატები ცდილობენ ამ სიმახინჯის აღმოსწორებას, თანაც ძალიან სუსტად მიმდინარეობა ქართული ენის სუფთა გასახელმწიფოებრიობა.

საბიბლიოთეკო და საორგანიზაციო განყოფილებებს წარმოდგენილი აქვსთავის მუშაობის დიაგრამები, რომელნიც სამწუხაროდ არა სახელმწიფოებრივ ენაზეა შედგენილი; ამ მხრივ უურადღებას იპყრობს აკადემიურ „ცენტრის“ მთავარი დიაგრამები, რომელნიც ნათლად გვიჩვენებენ სახელმწიფო უნივერსიტეტის და ტექნიკუმების მოწესრიგების საქმეს. ჩვენი უნივერსიტეტი სამი წლის მოქმედება-გაბვითარებამ იმ საშინელი და არა ჩვეულებრივ პირობებში ბის ხელმძღვანელთა წყალობით კარგ შედეგებს მიაღწია. ამას გვიჩვენებს ხელეული დიაგრამებიც.

ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებას გამოფენილი აქვს მთავარი საინტერესო რუსული წიგნები, უკანასკნელ ხანებში დაბეჭდილი მოსკოვში, სადაც ალნიშნული წიგნები საჩქაროდ გამოგზავნილია, რასაც გვიმტკიცებს წარწერა. იქვე გამოფენილია ის წიგნები, რომელიც დაიბეჭდა ამ რვა თვის განმავლობაში საქართველოში, როგორც რუსული, ისე ქართული. ქართულ წიგნებში ალსანიშნავია „რევოლიუციის პოეტები“, „კომუნიზმის ანბანი“ და სხვა. საბავშო გამომცემლობასაც ბრძავალი წიგნები გამოუცია ამ მცირე ხანის განძვალობაში, რაც დიდად მნიშვნელოვანია ბავშვთა ალზრდა-გაბვითარებისათვის. მოქ. ნინო ნაკაშიძისას დიდი დვაწლი მიუძღვის საბავშო გამომცემლობაში, და უნდა ითქვას, რომ თავის დასახულ მიზნისათვის ძალიან ბევრად მიუდგეკია.

ალის ერთი ადგილი დარბაზში, სადაც გამოფენილია „გრუსტას“-ს პლაკატები და დიაგრამები რუსულ-ქართული. სიტყვა „გრუსტა“, როგორც ასეთი მისაღებია რუსულად „груста“, რაც ნიშნავს „Грузинское советское телеграфное агентство“, მაგრამ ქართული „გრუსტა“ ეს ტელეგრაფ სიმახინჯეა, როგორც მენშევიკების დროს იყო „ვრუსტა“. დრო არის, დრო, რომ ასეთ ბარბარიზმებს მოელოს ბოლო ქართულ სინამდვილეში.

გადავიდეთ ჯანმრთელობის კომისარიატის კუთხეზე, სადაც მრავალ საგულისხმო დიაგრამები და რუქებია სამკურნალო ადგილების და კურორტების ალნიშვნით, ხოლერის მსვლელობა-განვითარების დაწვრილებითი ცნობები, სამკურნალო პერსონალის რეგისტრაცია, ბედეგები და სხვ. ძრავალი. მაგრამ სამწუხაროდ, როდესაც ამ „ნარკომზდრავი“-ს დიაგრამებთან გვაქვს ბართ, კურსკის გუბერნიაში გვონია თავი. ნუთუ საქართველოს ჯანმრთელობის კომისარიატს არ შეეძლო ყოველივე ეს წარმოედგინა ქართულად, მით უმეტესი, რომ შემადგენლობა კომისარიატის მთლიანად ქართულია. ყოველივე ეს პირდაპირ დაუშვებელი მოვლენაა, რაც არ ეპატიება ჯანმრთელობის კომისარიატს.

ყურადსაღებია ფინანსების კომისარიატის მიერ გამოფენილი უცხო საბელმწიფოების ოქროსი და ვერცხლის და აგრეთვე ქაღალდის ფულები. იქვე გამოფენილი ყალბი ბანკნოტების ნიმუშები.

მიწათმოქმედების კომისარიატი დიდათ ალნიშვნელოვანია თავის ექსპონატებით, მხოლოდ ზემოთ გაკეთებული ტილოზე მწვანე დიდი წარწერა ოუფულად მხოლოდ „НАРКОМЗЕМ“-ი ყველაფერს გვეუბნება. ოუფული იყო ეს დაწესებულება ბომბრიკის დროს, რუსულია ახლაც. დავეკვეთ თავიდან:

ჩაქვის სახელმწიფო მამულია განყოფილება გარეთ ალანიშნე, რომელიც ოფთალმოლოგიის ტუჩას დაჰკურავს. ეს დიდი ალანი ძალიანად უკავია ჩაქვის ექსპონატებს, რაც მ. კურორტელთ შორის დიდ ყურადღებას იპყრობს. ნაირ-ნაირი ლერწამი სხვა და სხვა ხარისხებისა, „დაწყებული ძოსოს ხარისხიდან, რომლის სიმაღლე 21 არშინს აღწევს, მხოლოდ დიამეტრი 6 ვერშოკს ან დამთავრებული მატაკის ხარისხის და ეგოედ წოდებულ შავ ლერწამით. ლერწამის საამბოლოდ ითვლება ინდო-ჩინეთი, მხოლოდ მას თანდათან ამოაფლეებენ სხვა ქვეყნებიც. ამდაგვარადვე შეიოტანილია ლერწამი საქართველოში. ალის კიდევ ლერწამის ძაგარი წვრილი ხე ლერწამის ოჯახიდან, რომელსაც ალრეხლოსპიას ეძახიან ამ უკანასკნელიდან აკეთებენ მშვენიერ ფოსტებს, ძხოლოდ ზემოთ მოხსენებულ ლერწამიდან სხვა და სხვა ნიკაბეს. ალგალითად ძოსოს ხარისხის ლერწამია შეა ნაწილიდან აკეთებენ ფიხუნებს, ძირიდან კი ვაზებს, ძხოლოდ უფრო ძოწვილ ლერწამიდან პაწია მოგზომ ჭიქის ძაგვარ ჭურჭელს.

მატაკის ხარისხის ლერწამა ხმარობენ კიბეებისათვის წყალადენის მილებისათვის, ასეთი კიბეები იქვე ალია გამოფენილი. დამტვრეულ ლერწამს კი, რასაც ფანარა ეძახიან, ხმარობენ თურმე ტეტკატურკისთვის.

ლერწამის გვერდით დალგებულია სხვა და სხვა ალარისხის ჩაის ბუჩქები (ოლპოხის და სხ.) პალმები და ხარინჯის ბეები ხედ მთავარ ნარინჯით. იქვე გამოფენილი ჩანთის ხეთა (ქაკი) და ციტრონი; უკანასკნელს ხილს ძხოლოდ მეფეთისთვის ამზადებენ.

ყურადსაღებია ცენტრალური ტრაკენის ფუტლის ძაგვ თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რომელსაც ყურძეის მესაკრავად ხმარობენ და ალიმავე ტაკეთის ფურცლიდან ძლიერ საგანი თოკი, ოფფათ და სამფათ დაგეხვილი. აგრედვე ალანიშნავია ცოცხალი ლერწამის ბალიდან და ჩოთქვილი პალის ხანერიდან, რომელსაც ალრეხლოსიდან ნაკეთები, რაც საერთოდ ძლიერ გამძლეა.

ამ ჩაქვის სამულის განყოფილებაში ალ შეიძლება გვეთქვა ალ ალ ალ

მიწათმოქმედების კომისარიატს ეკუთვნის - ბარდადი სახალხო მამულების გაყოფილება, სადაც ცნობილია ჩვენებია მრავალი სხვა და სხვა ხელოვნური და მანქანები მეკონეობის დარგიდან. დაგრძელებული ნათლად გვიჩვენებს ამ მამულების მთელ მოქმედებას და ნამუშევარს.

ამ გაყოფილების გვერდით დარბაზს უკანა ხაწილი უჭირავს შინა მრეწველობის ქვე განყოფილებას და ბოთანიკურ ბაღის ეკსპონატებს. შინა მრეწველობის ქვეგანყოფილებაში მეტად ყურადღებიანია საბჭოთა სახელოსნო სასწავლებლის ქსოვილები მრავალნაირი ქართულ ჩუქურთმების მიხედვით; ხალიჩა, ზედგამოქსოვილ საქართველოს დერბით, ძველი ოფთა ხელოვნური ნამუშევარს წარმოადგენს; ფარდები, პირსახოცები, არშიები, ახალი სანიმუშო მხატვრული გეგმები—ყოველივე ეს მოწმობს ამ დარგის სიფხიზლეს, ამ დარგის საყვარულს, ნამდვილ ქართულ ხელოვნების მიხედვით, ძველოდან ერთი ნაკლი ის არის, რომ ყველგან ყველა წარწერები რუსულია და ამასთანავე თითქმის იქ მომუშავენი ვერც ერთი ქართულად ვერ გიხსნით ეკსპონატების დამზადების მეთოდებს. ეს კი გადაგვარებაა, რაც ალანიშნავია.

საერთოდ ეს განყოფილება ლამაზად ხალიჩებში მოთთულია, იქვეა საფეიქრო მანქანა და მცხეთის საფეიქრო სასწავლებლის ნამუშევარის ნიმუშები.

კარგია და დიდათ მნიშვნელოვანი ბოტანიკური ბაღის ყველა ნიმუშები. ათასგვარი მცენარეებია; ლობიოს, სიმინდის, ბამბის მრავალნაირი ხარისხები, მწერების კოლექციები—ყველაზერი ლიბუშანიშნავია: მრავალი ბროშანი, ჟურნალები და წიგნები, მხოლოდ სულ ოუ-ულად და ფრანგულად; ეროთად ერთი წიგნი, რომელსაც ქართული წარწერა ჰქონდა, იყო „მეწათმოქმედების კომისარიატის ძალაფლობა“, მაგრამ შიგნით საძუბარითა ისიც რუსული გაზეთდგა, თუ არ მივიღეთ მხედველობაში წიგნის ბოლოში მოთავსებული ქართულად აღწერა ცხოვრებისა.

სატყეო განყოფილებას იქვე გვერდით წარმოდგენილი აქვს შესაფერისი ეკსპონატები: ცენარეულობა, ინარეული, დიაგრამები და სხვა.

ძალიან შეძეობა წარმოდგენილია მცენარეთა, მაგრამ სხარტ დ. დიაგრამა ნათლად გვიჩვენებს მეაბრეშუმეობის მსვლელობას საქართველოში. 1911 წელს აბრეშუმის პარკის ოდენობა უდრიდა 150,000 ფუთს; შემდეგ კი ეცემოდა საერთაშორისო შეტანილ ადგილობრივის გამო და 1919 წელსათვის გამოიშუშავებულ იქნა მხოლოდ 20,000 ფუთი; 1920 წელს ავიდა 50—55000 ფუთამდე, რომელიც მთლად საფრანგეთში გაიგზავნა, წრეგანდელი ბეკრებილი კი ეადრის 80—90,000 ფუთა, ოაც მთლიანად დაჩენილია საქართველოში. ასეთია ძოკლე ცნობები მეაბრეშუმეობის განყოფილების.

საბეითალო განყოფილებას წარმოდგენილი აქვს საქონლის ტირის შრატის დამზადების ნიმუშები ადგილობრივ საბეითალო სადგურზე. ყურადსაღებია ამ განყოფილების მეშეობის ნიმუშები საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ მცირედ არის წარმოდგენილი ექსპონატები.

ს. ახალანიშვილი.

ახალი ამბები

— **ამიერ-კავკასიის ფედერაციისადგის.** რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის კავკასიის ბიუროს გამოიტანა რეზოლიუცია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის ფედერალური კავშირის განმტკიცების შესახებ. გაერთიანებული იქნება საგარეო, სამეურნეო, ფინანსიური და საერთო პოლიტიკის საქმეები. გაზეთების გადმოცემით ხელმძღვანელი წრეები დამოუკიდებელ და ავტონომიურ რუსეთ-ბელიკებისა ფეზაზეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს ხალხიჩვენების და სხვ. შეთანხმდნენ კავკასიის საბჭოთა ფედერაციის შექმნის შესახებ. დაწვრილებით შემდეგ.

— **ტფილისიდან მაზრის რევკომში.** კრებულ ბოისაგან თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ოესხის მოხსენება წალკის ოაიონში ბოგზაურობის შესახებ. კოჯორში ყოფნის დროს კომისიამ გასცა ორძანება უკვე გაფძელებულ „პრიუტსინგაროში ჩაეაარეთა კოჯორის რევკომისათვის, რაც სისრულეში იქმნა ბოყვანილი ინგარიშის ჩაბარების დროს გადმოიტანა ოთ 16 მილიონი მან. საბუღები ეო იქმნა გაბართლებული. წალკაში რევკომიდან დაეტუსადა მილიციის უფროსი, ოიოელიც კომისიამ გაახთავისუფლა, რის შედეგ დაკითხულ იქმნა მილიციის უფროსი და რევკომის წევრები, დაკითხვამ ნაკლები ბოროტმოქმედება გამოიტანა.

ტამბულოვი და მოცეკატოვი. მათ მაგერ დანიშნა თავმჯდომარედ ტოპუზანი.

— ასურეთის რაიონში კარგი მუშაობა სწარმოებს, მთელ მაზრაში ერთად ერთი ადგილია სადაც შესძლეს ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება.

— წალკისის რევკომის ყოფილი თავმჯდომარე მოცეკატოვი ყოველივე ბოროტმოქმედებას ჩადიოდა ვინმე თავის ბიძაშვილის მოცეკატოვის დახმარებით, რომელიც ითვლებოდა რევკომის თანამშრომლად ორივენი სამართალში იქმნა მიცემული. მილიციის უფროსის შესახებ მოხდა გამოძიება, მაგრამ ოფიციალურად ვერაფერი დამტკიცდა. მიუხედავად ამისა კომისიამ ის სცნო უვარგისად ბ საეკვო პიროვნებად და ამიტომ მისი მილიციაში დარჩენა კომისიამ შეუძლებლად სცნო.

— ალბულაღის რევკომს პარტკომი აბრალებდა მთელი ქონების გაფლანგვას, პარტიულ კრების მოწვევის შემდეგ გამოირკვა ბოროტმოქმედება, რასაც ხოყვა შედეგად მთელი რევკომის შემადგენლობის გადაყენება.

პარტიაში

მთავარი კომიტეტის მდივნის ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე გაზ. „ტრიბუნის“ რედაქციაში.

—

პარტიული ხამკითხველო. პარტიის ცენტრალურ ბიუროში გაიხსნა სამკითხველო. სამკითხველოში ყოველ დღიურად არის ჩუსეთისა და ჩვენი ქვეყნის ყველა პერიოდული გამოცემები. ამ დღეებში დაიწყება წიგნების გაცემაც. სამკითხველო ღია აქვ. 5—9 საათამდე. სამკითხველომ შეიძინა ახლად გამოცემული პოლიტიკური წიგნები.

—

მემარცხენე სოციალ.-ფედერალისტთა ახალგაზრდათა დრ. მთავარი კავშირი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ რომ წევრთა რეგისტრაცია სწარმოებს ცენტრალურ ბიუროს ახალგაზრდათა ოთახში ყოველ დღე 9—2 საათამდე.

ახალგაზრ. დრ. კავშირი.

—

კვირას, ნოემბრის 13-ს მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტიის ცენტრალურ კლუბის ახალგაზრდათა ოთახში დანიშნულია მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტიის ახალგაზრდათა დოოებითი კავშირის მორიგი სხდომა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

რუსეთი

მოსკოვი. ნოემბ. 9. პეტროგრადის რევტრიბუნალში დაიწყო განხილვა საბჭოთა დიდი საწყობების გაფლეცების საქმისა. ბრალდებულთა რიცხვში ურევია მდგელი ვედერ კი.

მოსკოვი. ნოემბ. 9. ვინიცკისა და იამპოლის მაზრებში 146 წიაკვილია ბრონდით გაცემული.

მოსკოვი. ნოემბ. 9. სემიპალატის მაზრაში თითოეული ტვირთი და თითო საქონელი დაბეგრილია 5000 მანეთით, თითოეული დეკანი 100,000 მანეთით დამშეულთა სასარგებლოდ.

მოსკოვი. ნოემბ. 9. მოსკოვმა უხმაურთ და თავ-დაჭერილად გადაიხადა ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავი. ყველგან მოწყობილი იყო საბავშვო ბაღები. საღამოს ყველა რაიონებში ძოხდა დიდი მიტინგი და კრებები. ყველა შენობები ხალხით გაჭედილი იყო. ბუშეი გულმხურვალედ შეხვდენ ორატორებს: რადეკს, ლუნაჩარსკის და სხვათ. ქალაქანა ვეულკონის მიტინგზე გამოვიდა ტროიკა, რომელსაც ხალხი ოვაციით შეხვდა, ტროიკამ განაცხადა: რუსეთისა და სხვა სახელმწიფოთა შორის შეტანილ მცირე სარწმუნოა, მაგრამ შეუძლებელი არ არისო.

როსტოვი. ნოემბ. 4. უკანასკნელ დროს პოდოლის სოგუბერ. სოგანგეგმა კომისიამ აღმოაჩინა 5 კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია მაზრაში, დაჭერილია 115 კაცი. ზოგიერთ ორგანიზაციების წევრები იმყოფებოდენ საბჭოთა სამსახურში, რომლებიც აძლევდენ ცნობებს საბჭოთა ჯარის მდგომარეობაზე.

პეტროგრადი. ნოემბ. 1. მდინარე ნევის ძირიდან საწყალ ტრანსპორტის მართველობამ ამოიღო 900 ფუთი სპილენძი ფეფრცლებად. ამ ქამად რაც განვიცდით სპილენძის კრიზისს ეს შენაძენი წარმოადგენს ძვირფას განძს, როგორც სამეფოწველო ნედლეულისას.

მოსკოვი. ნოემბ. 10. ორკვირეული დამბომბეა დამშეულ გუბერნიებისათვის ვოლგონეკის გუბერნიაში დიდი წარმატებით ტარდება. მართლა ერთ ვოლგაში შეგროვდა 20 მილიონი ფუთად და მრავალი საცვლები და ნივთები.

მოსკოვი. ნოემბ. 20. ოდესის რაიონების გლეხები ენერგიულად ებრძვიან ბანდიტებს. შეიპყრეს ცნობილი ძმები სამოილოვები.

უცხოეთი

პარიზი. ოქტ. 28. საერთაშორისო კონფერენციის წევრებმა ინახულეს საფრანგეთის ის ადგილები, რომელიც დაზარალებულია ეხლახან მომხდარ დიდი ომით. კონფერენციის წევრები განცვიფრებული დარჩენ იმ უაღრესი გაანადგურებით, რომელიც მიუყენებიათ საფრანგეთის ოლქებისათვის. მარტო ერთი რეიმსის ტაძრის აღდგენას მოუნდება 60 მილიონი ფრანკი.

ბუხარესტი. ნოემბ. 9. ყოფილი იმპერატორი კარლოსი თავისი მეუღლით ჩამოვიდნენ მალაცში და დაუყოვნებლივ გადაყვანილ იქნებიან ინგლისის გემით „კარდიკით“, გადაყვანის დროს კარლოსი იმყოფება ინგლისის პოლიტიკურ აგენტის ზედამხედველობის ქვეშ.

მოსკოვი ნოემბ. 10. ფრანგ-ოსმალთა ხელშეკრულობის თანახმად, საფრანგეთმა იცნო ანგორის მთავრობა ერთადერთ ხელისუფლებად ოსმალეთში და უარყო მფარველობა ქრისტიანულ უმცირესობისა მცირე აზიაში და გადასცა ოსმალეთს რამდენიმე ტერიტორია. ინგლისმა „გადასცა საფრანგეთს თავისი პროტესტი ანგორის ხელშეკრულების გამო და აღნიშნა, რომ ეგ შეთანხმება გაძლიერებულ სიძალეს აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტის დროს, იმ დროს როდესაც ინგლისი საფრანგეთთან ერთად ცდილობს მოაწესრიგოს ბერძენ-ოსმალთა კონფლიქტი.

პარიზი. ნოემბ. 9. გაზეთი „რესპუბლიკ ფრანსე“ სწერს: ინგლისელები ძლიერ გულდაწყვეტით უცქერიან საფრანგეთის აღმოსავლეთის პოლიტიკას. მიზანი ინგლისისა გარკვეულია, ძს სურს საფრანგეთის გაძევება ახლო აღმოსავლეთიდან, ისე როგორც 18 საუკუნეში გამოაცალა საფრანგეთს ხელიდან ინდოეთი.

პარიზი. ნოემბ. 1. გაზეთი „ტანი“, გამოსთქვამს იმედს, რომ ძომავალ ზამთარში ანატოლიის ფრონტზე ჩამოვარდება სრული სიწყნარე და ძოხდება შერიგება.

ვენა. ოქტ. 29. მდგომარეობა ავსტრიაში კატასტროფიულია. სურსათი გამოელია. ბაზარზედ არეულობაა. საზღვარგარეთის ფასებმა საშინლად იწია.

დადგენილება № 92

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

ამნისტიის შესახებ.

დღევანდელ სასიხ ოფლო დღეს, როდესაც სოციალისტური საბჭოთა საქართველო პირველად ადასასწულობს დიდი პროლეტარული თევოლიუციის ოთხი წლის თავს, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი შესაძლებლად ითვლის შეუმსუბუქოს ხვედრი ყველა იმათ, ვისაც გადაწყვეტილი აქვს სასჯელი სახალხო სასამართლოთა, რევოლიუციონურ ტრიბუნალთა და ადმინისტრატიულ ორგანოთა მიერ, ან ვინც გამოძიებაშია მიცემული საბჭოთა რესპუბლიკის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილით ამა 1921 წ. თებერვლის 25-დე და ვისთვისაც თავისუფლების აღკვეთა ეო არის უკიდურესი საქმიანობით გამოწვეული.

ამის გამო საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს სრულიად სამართლისა და სასჯელისაგან ყველა ის ვისაც დანაშაული ამა დადგენილების გამოცემის დღემდე ჩაუდენია, იმის და მიუხედავად, თუ წარმოების რომელ სტადიაშია საქმე და სასამართლოს ან ადმინისტრატიულ რომელ დაწესებულების წარმოებაშია იგი, ხოლო იმ გამონაკლისით, რაც აღნიშნულია ქვემოდ ჩამოთვლილ მუხლებში.

შენიშვნა: მოქმედება ამა მუხლისა გავრცელებულ იქნეს ადმინისტრატიულ სასჯელ ზედაც, აგრეთვე ადმინისტრატიულის წესით მილიციის მოხელეთა, სახალხო კომისართა და ხელისუფლების სხვა ორგანოთა მიერ დაპატიმრებულებზე.

2. უმაღლესი ხარისხის სასჯელის განაჩენი,—რა დაწესებულებასაც უნდა გამოეტანოს იგი,—გადასინჯულ უნდა იქნეს ერთ კვირის განმავლობაში—სასჯელის შემოუტანელობის შესაძლებლობის მიზნით.

3. იმ პირთა, რომელთაც ამა დადგენილების გამოცემის დღემდე სასამართლოს და სხვა დაწესებულებათა განაჩენით გადაწყვეტილი აქვთ თავისუფლების უვადოდ აღკვეთა—ყაჩაღობისათვის, გაძარცვისათვის, გაუპატიურებისათვის, სხვისი სიცოცხლის მოსპობის მცდელობისათვის,—უკეთუ ეს ჩადენილია არა სიფიცხისა და გაბრაზების მდგომარეობაში, ცეცხლის წაკიდებისათვის, ყალბი ფულის მოჭრისა და საბუთის ქაღალდის სიყალბისათვის, დეზერტიორობისათვის და სანგაროს ხასიათის თანამდებობითი დანაშაულისათვის, აგრეთვე დანაშაულის განმეორებელთ (რეციდივისტებს),—ზემოდ აღნიშნული სასჯელი შეეცვალოს თავისუფლების აღკვეთად ხუთის წლის ვადითდ ამასთანავე გახუწეადეს მათ მკაცრი იზოლიაციისა პირთა კატეგორიისა, ვისაც იმავე დანაშაულისათვის გადაწყვეტილი აქვს სხვაგვარი აღკვეთა თავისუფლებისა ვადათა, ან იძულებითი მუშაობა,—ვადა დაწყვეტილებისა ან იძულებითი მუშაობისა შეუმცირდეს ნახევრად, ხოლო ვისაც ნახევარი სასჯელი უკვე ძოუხდია, დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნეს დანაჩენი სასჯელისაგან. ის პირი, ვისაც იმავე დანაშაულისათვის განჩენილი აქვს სხვაგვარი სასჯელი, რაც დაკანონებული არ არის თავისუფლების აღკვეთის სასჯელთან, სრულიად განთავისუფლებულ იქნენ სასჯელისაგან.

შენიშვნა: განთავისუფლება სასჯელისაგან ამა დადგენილების პირველი მუხლის თანახმად და სასჯელის ვადის შემცირება, ამა ძუხლში ადნიშნული, გაერცელებულ იქნეს პირობით მაჯყარ-დადებულებზედაც. ამა მუხლის შეფარდება—არ უარყოფ ვადამდე გახთავისუფლებისა ძეფიოდებასაც.

4. ამნისტია—დამწყვდევისაგან განთავისუფლების სახით—გავრცელებულ უნდა იქეეს ძალოდ იმ პიროებზე, ვინც საბჭოთა ოესპუბლიკისათვის თვალსაჩინო საფრთხეს არ წარმოადგენს და იგი არა ვრცელდება მათზე, ვისაც სასჯელი განჩენილი აქვს ან ეთალი ედება: ა) ბანდიტიზმისათვის, ბ) ბოროტგანზრახულებითი სპეკულაციისათვის, გ) მეთემელებისათვის ან ისეთ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის, რომელიც გამოდის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დ) ჯაშუშობისათვის, ე) საბელმწიფო ღალატისათვის ბ) ბ) კონტრრევოლიუციისათვის.

5. საკითხი,—ამა დადგენილებაში ადნიშნული წესის თანახმად,—ამნისტიის გავრცელებისა იმ პირებზე, ვისაც ამა დადგენილების მე-3 მუხ ხანჩენები დანაშაული ჩაუდენია დადგენილების გამოცემის დღემდე, და ვისი საქმე ჯერ კიდევ გახხილული არ არის სასამართლოსა ან სხვა დაწესებულებათა ძიერ,—უნდა გადაწყდეს,—საქმის არსებითი გასხილვის შემდეგ,—დადგენილ განაჩენზე დამოკიდებულებით და გამოცხადებულ იქნეს განჩენის გამოცხადებათა კოთად.

6. განთავისუფლებულ იქნენ სრულიად სამართლისა და სასჯელისაგან დეზერტიორები, რომელნიც ოთი კვირის კანონმდებლობისა, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა ძათ სამყოფელ ადგილას,—ნებაყოფლობით გამოცხადდებიან,—სამოქალაქო ან სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლთან სამსახურში ჩასაბრიცებლად.

შენიშვნა: ამა დადგენილების მე-3 და მე-6 მუხ. აღნიშნული შედეგათები გავრცელებულ იქნეს აგრეთვე დეზერტიორების დაახლოებებსა და დამფარველებზე.

7. ის პირნი, რომლებზედაც ვრცელდება ამა დადგენილების 1, 3, 5 და 6 ძუხლის მოქმედება,—განთავისუფლებულ იქნენ სამართალში მყოფელობის ყოველგვარი შედეგისაგან, როგორც პირადობისა, სე ქონებისა,—უკეთუ გახარები ჩ დადგენილ ამ უკანასკნელ მედგის (ქონებისა) შესახებ ამა ყოფილა ჯერ კიდევ აღსრულებაში ოოყვანილი ამა წლის ნოემბრის 7-დე,—და მას შემდეგ, რაც ამა დადგენილების ძალით, იგინი სრულიად განთავისუფლებულ იქნებიან სასჯელისაგან, ან ძოიხდიან სასჯელს ამნისტიის შეფარდებისაძებრ,—ალდგინოს მათ ყოველი უფლება, რომელიც მოპარული ჰქონდათ სათანადო დაწესებულებათა გასჩენით, ან დადგენილებით.

8. განთავისუფლება, ამა დადგენილების ძალით, სასჯელისაგან არ ათავისუფლებს დამნაშავეს მისი დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა ან; ხოლო ამ საქმეებს ბაბ, რომელიც განუხილველია და ძოსპობილ უნდა იქნეს ამა დადგენილებს თანახმად, გადახდევინოს ბოლოდ ამ ქალაქის სამართალის წესით.

9. დადგენილება ეხება ვრცელდება იმ საქმეებზე, რომელიც აღძრულია კერძო ბრალდების წესით და შეიძლება შერიგებით გათავდეს.

10. დადგენილება ესე გავრცელდეს იმ მსჯავრ დადებულებზედაც, რომელთაც შეეხო ამა წლის მაისის 26-ს ამნისტია.

11. ამა ამნისტიის შეფარდება იმ პირთათვის, ვინც უკვე იხდის სასჯელს დაეკისრა იმ სასამართლოთა ან სხვა დაწესებულებას, აგრეთვე ადმინისტრატიულ ორგანოს, რომლისაც განაჩენით ან დადგენილებით ზემოადნიშნული პირნი იხდიან სასჯელსა.

12. წინანდელი წყობილების სასამართლოს მიერ მსჯავრ-დადებულთათვის ამნისტიის შეფარდება ჰმართებს სახალხო სასამართლოებს იმის მიხედვით, თუ რა ადგილას არის დედანი—საქმის წარმოება; იმ შემთხვევაში, უკეთუ საქმე სახალხო სასამართლოში არ იმოება და აღძრულია იუსტიციის განყოფილებათა რაიონში—ამნისტიის შეფარდება უნდა მოხდეს იუსტიციის სამაზრო განყოფილების კოლეგიის დადგენილებით, სადაც სათანადო დაწესებულება გაჭაბავნის საქმის დედანს; ხოლო ქალ. ტფილისში აღძრულ საქმეთა შესახებ—ამნისტიის შეფარდება უნდა მოხდეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობი განყოფილების კომისიის დადგენილებით; ეს კომისია შესდგება გახყოფილების გამგისა და მისი თანაშემწეებისაგან.

შენიშვნა: იმ დ დგენილებაში, სადაც ჯერ კიდევ მოწყობილი არ არის იუსტიციის სამაზრო განყოფილებანი, ამნისტიის შეფარდებაა აწარმოებენ მაზრის რევოლიუციონური კომიტეტები.

13. ყოველი დასამწყვდევი ადგილი მოვალეა სამის დღის განმავლობაში წარუდგინოს დამწყვდეულთა სია ამა დადგენილების მე-11 და 12 მუხ. აღნიშნულ დაწესებულებათა.

14. საგამომძიებელო ორგანოებს ჰქართეელ—ამა დადგენილების 1 ლი მუხ. ძალით—მოსასპობი საქმენი,—თავიანთ დასკვნითურთ,—წარუდგინოს მოსასპობათ სათანადო სახალხო სასამართლოს ან რევოლიუციონურ ტრიბუნალს—ქვემდებარეობისამერ. ამავე დაწესებულებათ იგინი უკუბავნიან საქმეს იმ შემთხვევაშიც, ოოდესაც აღძვრის ეჭვი,—მოსასპობია საქმე თუ არა.

15. მთელი მუშაობა ამა დადგენილების შეფარდებისათვის დასრულებულ უნდა იქნეს უუმოკლეს ვადაზე.

16. თვალყურის დევნება ამა დადგენილების სისწორით და გადაუხვევლად შესრულებისათვის დაეკისრება იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობი განყოფილების კომისიის დადგენილებით; ეს კომისია შესდგება გახყოფილების გამგისა და მისი თანაშემწეებისაგან.

შენიშვნა: იმ დ დგენილებაში, სადაც ჯერ კიდევ მოწყობილი არ არის იუსტიციის სამაზრო განყოფილებანი, ამნისტიის შეფარდებაა აწარმოებენ მაზრის რევოლიუციონური კომიტეტები.

13. ყოველი დასამწყვდევი ადგილი მოვალეა სამის დღის განმავლობაში წარუდგინოს დამწყვდეულთა სია ამა დადგენილების მე-11 და 12 მუხ. აღნიშნულ დაწესებულებათა.

14. საგამომძიებელო ორგანოებს ჰქართეელ—ამა დადგენილების 1 ლი მუხ. ძალით—მოსასპობი საქმენი,—თავიანთ დასკვნითურთ,—წარუდგინოს მოსასპობათ სათანადო სახალხო სასამართლოს ან რევოლიუციონურ ტრიბუნალს—ქვემდებარეობისამერ. ამავე დაწესებულებათ იგინი უკუბავნიან საქმეს იმ შემთხვევაშიც, ოოდესაც აღძვრის ეჭვი,—მოსასპობია საქმე თუ არა.

15. მთელი მუშაობა ამა დადგენილების შეფარდებისათვის დასრულებულ უნდა იქნეს უუმოკლეს ვადაზე.

16. თვალყურის დევნება ამა დადგენილების სისწორით და გადაუხვევლად შესრულებისათვის დაეკისრება იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობი განყოფილების კომისიის დადგენილებით; ეს კომისია შესდგება გახყოფილების გამგისა და მისი თანაშემწეებისაგან.

შენიშვნა: იმ დ დგენილებაში, სადაც ჯერ კიდევ მოწყობილი არ არის იუსტიციის სამაზრო განყოფილებანი, ამნისტიის შეფარდებაა აწარმოებენ მაზრის რევოლიუციონური კომიტეტები.

17. ყოველ-ა